31/07/2019

დიდი და მცირე მეტანია

მეტანია ორი სახისაა-დიდი და მცირე. დიდი მეტანია, ანუ მუხლდრეკა, სრულდება შემდეგნაირად. ვიწერთ პირჯვარს, ვასრულებთ მუხლთმოყრას და შუბლით ვეხებით მიწას რის შემდეგაც კვლავ ვდგებით ფეხზე.
მცირე მეტანიის დროს ვიწერთ პირჯვარს, ვიდრეკთ თავს, წელში ღრმად ვიხრებით და მარჯვენა ხელით ვეხებით მიწას, რის შემდეგაც კვლავ ვიმართებით წელში.

ლოცვის დროს, პირჯვრის გამოსახვის შემდეგ, თავს ვიდრეკთ, რაც არის პირჯვრისწერის დასასრული ნაწილი, რომლითაც ღვთის თაყვანისცემას გამოვხატავთ.

მეტანიით ლოცვის დროს გამოვხატავთ ღვთის წინაშე, როგორც ჩვენს კრძალულებას, ასევე უღირსებისა და სინანულის გრძნობებს, დიდი მეტანიების შესრულება მიუღებელია საყოველთაო სულიერი სიხარულის დღეებში, როგორიც არის: კვირა დღეები და დიდი დღესასწაულები. მუხლდრეკა არ სრულდება შაბათ საღამოს მწუხრის ლოცვიდან კვირა საღამოს მწუხრის ლოცვამდე, რადგან კვირა არის აღდგომის დღე და ჩვენი ფეხზე დგომით მივანიშნებთ დაცემული ადამიანური ბუნების აღდგინებას, აღმართებას მაცხოვრის მიერ.

გარდა კვირა დღეებისა, მუხლდრეკა აგრეთვე არ სრულდება შემდეგ დღეებში: ქრისტეს შობის დღესასწაულიდან ნათლისღების დღესასწაულამდე . აღდგომიდან სულთმოფენობის დღესასწაულამდე. ასევე, დიდი მეტანია არ სრულდება ზიარების მიღების შემდეგ მთელი იმ დღის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით დიდმარხვაში ეფრემ ასურის ლოცვის მეტანიებს.

karibche.ambebi.ge